

კავკასიონის ნაოჭა სისტემის ალპური ტიპის კვარცის ძარღვები (საქართველოს ფარგლებში)

ნოდარ ფოფორაძე^ა, ოლღა სესკურია^ბ, ნათია ინანაშვილი^გ

nodar_poporadze@yahoo.com^ა, olikoseskuria@rambler.ru^ბ, natiainanashvili@yahoo.com^გ

გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტი, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 0175, თბილისი, კოსტავას ქ. 77^{აბგ}

ნაშრომში წარმოდგენილია კავკასიონის ნაოჭა სისტემის ქვედა- და შუაიურული ფიქლებრივი ტერიგენული ფორმაციის ალპური ტიპის ძარღვების შემცველი სხვადასხვა გენერაციის კვარცის დახასიათება.

ალპური ტიპის კვარცის ძარღვებში სამი მთავარი გენერაციის კვარცი გამოიყოფა. პირველი გენერაციისაა რძისებრ-თეთრი ფერის კვარცი, მეორე გენერაცია წარმოდგენილია წაგრძელებული, ხშირად პარალელური კვარცის კრისტალური აგრეგატებით, ხოლო კვარცის მესამე გენერაცია სხვადასხვა სახის გამჭვირვალე კვარცის დრუზებითა და ჯაგრისებითაა წარმოდგენილი.

ალპური ტიპის კვარცის ძარღვები, ძირითადად, დაბალტემპერატურულ პირობებში წარმოიქმნება და გენეტურად ფიქლებრივი ტერიგენული ფორმაციის ქანების მეტაგენეზისთანაა დაკავშირებული. კვარცის ძარღვები, უმეტეს შემთხვევაში, სასარგებლო კომპონენტებისგან სტერილურია.

კვარცის აგრეგატების უმეტესობა სხვადასხვა ფორმისა და ზომის გაზურ-თხევად ჩანართებს შეიცავს, რომლებიც კვარცის ძარღვების მახასიათებლებია და განსაზღვრავს მეტამორფიზმის პირობებსაც.

საკვანძო სიტყვები: კვარცი, ალპური ძარღვი, გენერაცია, მთის ბროლი.

ლიტერატურა

- [1] Гамкрелидзе И.П. Вновь о тектоническом расчленении территории Грузии. Тр. ГИН АН Грузии, Нов. сер. вып. 115. 2000, ст. 204-208.
- [2] Чихрадзе Г.А. Литология юрских и меловых отложений южного склона Большого Кавказа. Тбилиси. 1981, 41 с.
- [3] Ахвледиани Р.А. Минералогия жил альпийского типа месторождений Хдесцкали и Шода. Тбилиси, Мецნიереба, 1972, 74 с.
- [4] Ярошевич В. З., Аревадзе Д. В., Чхаидзе Ц.Ш. Разработать и внедрить комплекс термобарогеохимических методов поиска скрытых кварцево-жильных тел в верховьях бассейна р. Риони. Тбилиси, 1989 (рукопись).

